ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №118

შემსყიდველი- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების ძალების მეთაურის თეიმურაზ ყლატეიშვილის სახით.
მისამართი: ქ. თბილისი ვაშლიჯვარი, პ. სარაჯიშვილის ქ. №25 სკ. ტელ. 0 (32) 2 51 78 01
საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის ნომერი GE 88BG 000000034771270,
საბანკო კოდი სს "საქართველოს ბანკი" BAGAGE22.
საიდენტიფიკაციო ნომერი: 226560593
შემსრულებელი: შპს "აჭარა მოტორს ჯორჯია"
მისამართი: ქობულეთი, მ. აბაშიძის I ჩიხი, #2. ტელ: 568 38-88-48 ელ.ფოსტა igiorgadze@adjaramotors.ge
ხელმძღვანელი: გ. ზედგენიძე
საიდენთიფიკაციო კოდი: 446979529
ბანკის კოდი: TBCBGE 22
ანგარიშის ნომერი: GE65TB7230536080100009;
ერთის მხრივ – დამკვეთი, და მეორეს მხრივ – შემსრულებელი ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, სპეციალური ოპერაციების ძალების ბალანსზე რიცხულ ავტომანქანებს გაუწიოს ვულკანიზირებასთან დაკავშირებული მომსახურეობა შეთანხმებულ მომსახურეობის ტარიფებით.

მომსახურეობა

---

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: გაწეული მომსახურების ჯამს, შეთანხმებული ტარიფის მიხედვით წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების ფასმაჩვენებლით.

<u>10,00 (ათი ლარი და 00 თეთრი) ლარი</u>
(თანხა ციფრებით სიტყვიერად)

2.2. ხელშეკრულების ფასი შეიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მომსახურეობასთან მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.
2.3. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. მომსახურების გაწევის წესი და ვადები

3.1 დამკვეთი უფლებამოსილია შესრულებული სამუშაოს გადაცემის დროს ჩაატაროს შემოწმება/ტექნიკური კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს <u>მურმან პირველს</u>, რომელიც აგრეთვე უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება და უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს მიღება – ჩაბარება, ხოლო შემსრულებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების ჩატარების დროს.
3.2. ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, შემსრულებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 დღის განმავლობაში.
3.3 მომსახურეობის გაწევა დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება–ჩაბარების აქტით.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1 დამკვეთი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს შემსრულებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურება მომსახურების გაწევის შემდეგ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე 10 დღის განმავლობაში.
4.2. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი
4.3. გადახდის ფორმა – <u>უნაღდო</u>

5. ანგარიშსწორების წესი

5.1. დამკვეთი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს შემსრულებელს გაწეული მომსახურეობის ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

5.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.3. დამკვეთი უფლებამოსილია მომსახურეობის ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს შემსრულებელს საურავი ყოველ გადაცილებულ დღეზე საერთო ღირებულებით 0,1%–ის ოდენობით.

5.4. თუ შემსრულებელი დამკვეთის მიერ წერილობითი ფორმით გაგრძელებულ ვადაში არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, დამკვეთი უფლებამოსილი იქნება მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და შემსრულებელს დაეკისროს საურავი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულიდან დარჩენილი სამუშაოს ღირებულების 2%–ის ოდენობით.

6. ფორს-მაჟორი.

6.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს–მაჟორული გარემოებების შედეგი.

6.2. ამ მუხლის ფარგლებში "ფორს–მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მიმწოდებლის შეცდომებსა და/ან დაუდევრობასთან და რომელთა გათვალისწინებაც შეუძლებელი იქნებოდა წინაწსწარ. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯრტო ასიგნიციათა შემცირებით.

6.3. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლად უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით, აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენიდან.

6.4. თუ შემსრულებელი განაცხადებს უარს ხელშეკრულებით გათვალისრწინებული მომსახურეობის გაწევაზე, დამკვეთი ულებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს შემსრულებელს გასაწევი მომსახურეობის ღირებულების 2 %.

7. სხვა პირობები

7.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 45 დღის განმავლობაში.

7.2. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

7.3. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7.4. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთ თქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

(ხელშეკრულების საფუძველს წარმოადგენს: "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის -ს1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა და ასევე საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 29 დეკემბრის № MOD 4 21 00001132 ბრძანება)

დამკვეთის მხრიდან	შემსრულებლის მხრიდან
SPECIAL OPERATIONS FORCES OF DEFENCE FORCES OF MINISTRY OF DEFENCE OF GEORGIA Digitally signed by SPECIAL OPERATIONS FORCES OF DEFENCE FORCES OF MINISTRY OF DEFENCE OF GEORGIA Date: 2022.05.23 10:38:02 +04'00' ----------	----------
ბ.ა	ბ.ა